




საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



ბრძანება

ქ. თბილისი

N 2584-02

09/08/2019

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის  
ადმინისტრირების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე

გამოცხადებული კონკურსის შედეგის დამტკიცების შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტების, 32-ე მუხლის და 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 2018 წლის 6 მარტის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-2 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობების“ საფუძველზე, რექტორის 2019 წლის 22 მაისის „ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ“ N1379-02 ბრძანების და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 21 მაისის N5 და 2019 წლის 7 აგვისტოს N8 ოქმების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. 2019 წლის 9 აგვისტოს დამტკიცდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის 3 საშტატო ერტყულზე გამოცხადებული კონკურსის შედეგი და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის 3 საშტატო ერტყულზე არჩეული იქნან გიორგი დანელია, ირაკლი კაჭარავა, ალექსანდრე ასათიანი.

2. კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული პირებისათვის და შემდეგი სტრუქტურებისათვის: ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, აღრიცხვა-ანგარიშების სამსახური, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახური, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი.

3. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.

გიგა ზედანია

რექტორი